ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3798083

ნომერი: AR1571177

თარიღი : 23.01.2018

გაცემის თარიღი : 30.01.2018

გაცნობის თარიღი : 30.01.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ცაგარელი , N 57 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რომეო სარია პ/ნ 51001000417
- თბილისი წყალტუბოს ქ. N 3 ბ. 3

ნომენკლატურა :

- I კლასი
- საჩრდილობლის მოწყობა
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ, რომ სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა, თუმცა, უნდა გაითვალისწინოთ შემდეგი:
- საჭიროა საპროექტო საჩრდილობლების მასალად გამოყენებულ იქნას სარეკონსტრუქციო შენობის სახურავზე გამოყენებული არსებული მასალა. ფოტომონტაჟი დაკორექტირდეს აღნიშნულის შესაბამისად.
- ამასთან, აღნიშნული შენობის სარეკონსტრუქციო ფართი, №2578623 ბრძანებით შეთანხმებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის მიხედვით, წარმოადგენს დუპლექსს. ხოლო საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად ფართის კვადრატულობა არ შეესაბამება პროექტით გათვალისწინებული ფართის ფართობს. აღნიშნულთან დაკავშირებით განიმარტოს ინფორმაცია მოთხოვნის ტექსტურ ნაწილში და იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული ამჟამად წარმოადგენს ორ დამოუკიდებელ ფართს, წარმოდგენილ იქნას მეორე ფართის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და შესაბამისი მესაკუთრის სათანადო წესით დამოწმებული თანხმობა.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს სრულყოფილ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი. გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.